

შოთა გობიბერიძე ხელისუფლებას აპრიტიკებს



ალიონი. „საქართველოს „პატრიოტთა ალიანსის“ ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, შოთა გობიბერიძე ხელისუფლებას აპრიტიკებს, უკიდურესად აღმაშფოთებელს უწოდებს ე.წ. ლარიზაციის პროგრამის ეგიდით წარმოდგენილ ბმბმას.

როგორც გობიბერიძემ დღეს გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, „ქართულ ოცნებას“ რომ წინასწარჩვენოდ დაეანონსებინა, რის გაკეთებასაც გეგმავდა საწვავთან,

თამბაქოსა და იმპორტირებულ მანქანების აქციზის მატებასთან დაკავშირებით, მოსახლეობისგან ხმას ვერ მიიღებდა.

ქვეყანაში მიმდინარე მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პროცესების გამო, თავს უფლება მიეცემა, დღეს კიდევ ერთი ხმამაღალი განცხადება გამოეხატა. საპარლამენტო არჩევნებიდან ორ თვეში, საქართველოს მოსახლეობამ იწვნია თავისი გაკეთებული არჩევანის შედეგი. მხოლოდ ის, რომ 2017 წლის ბიუჯეტთან ჩანს, ხელისუფლებამ არაფერს დაუმატებს პენსიებს, პედაგოგთა ხელფასებს, ასევე, აქციზის მატება უმძიმეს ტვირთად დააწვეს ოჯახებს და ავტომობილებს ურად გააძვირებს აუცილებელ პროდუქციას. ვერ აქციზი არ მომატებულა და უკვე გაძვირდა საწვავი. მერე კი, როცა მოი-

მატებს, უკვე 30%-ით მაინც გაიზარდა ფასი, – თქვა გობიბერიძემ და უკიდურესად აღმაშფოთებელი უწოდა ე.წ. ლარიზაციის პროგრამის ეგიდით წარმოდგენილ გეგმას, დოლარში აღებული კრედიტების, იათეკური სესხების ბიუჯეტთან სუბსიდირების შესახებ. ხალხი, რომელთაც 20 ათასიდან 100 ათასზე მეტი დოლარის კრედიტები აქვთ აღებული, ძირითადად, ხელისუფლების წარმომადგენლები არიან. საშუალო და გადატაკებული ფენა ასეთ კრედიტებს ვერც მიუახლოვდება. გამოდის, რომ ხელისუფლებამ თანამდებობის პირების და მათი ოჯახის წევრების მიერ აღებული კრედიტების გადახდას ბიუჯეტიდან, ისევე გაჭირვებული მოსახლეობის ჯიბეებიდან განახორციელებს, ანუ ჩვენს ხარჯზე

დაფარავს, – თქვა შოთა გობიბერიძემ და დასძინა, სწორედ ამიტომ საქართველოს პარლამენტში წარმოდგენილმა „პატრიოტთა ალიანსის“ დეპუტატებმა მხარი არ დაუჭირა საქართველოს მთავრობას და თუ პროცესები ასე გაგრძელდა, მხარს არც მომავალში დაუჭერენ.

შოთა გობიბერიძის თქმით, ზამთარსა და გაზაფხულზე ხალხის გასაჭირი იმდენად უკიდურესი გახდება, რომ, შესაძლებელია, ამას სოციალური აფეთქება მოჰყვება.

– ჩვენ ვართ ჯანსაღი ოპონირების რეჟიმში, რომ ხელისუფლებამ მოვაფხვიზოთ და კარგად დაინახონ, რა უმძიმეს ვითარებაში ჩავარდა ქვეყანა, როცა ხელი არ აიღეს ესტონურ მოდელზე. აქციზის ზრდა, კიდევ ერთხელ ვამბობ, გაძვირებს ყველაფერს და შედეგად მძიმე იქნება, კიდევ უფრო გა-

დატაკდება ხალხი და ქვეყანა, – აღნიშნა შოთაგობიბერიძემ.

მანვე ფურნალიზტებს შეახსენა, თუ რა მიმართულებით აპირებდა მუშაობას „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ ხელისუფლებაში უმრავლესობით მოსახლის შემთხვევაში: სახელმწიფო საბინაო ფონდის შექმნა უსახლკაროთათვის, წელიწადში 2%-იანი განაკვეთით, იმავე პროცენტში მცირე და მიკრობიზნესის მხარდამჭერი პროექტებისთვის სპეციალური ფონდის შექმნა და ა. შ.

„პატრიოტთა ალიანსი“ ხელისუფლებასადმი კონსტრუქციული კრიტიკის და ოპონირების რეჟიმში მუდმივად იქნება და ხალხის გასაჭირს ხელისუფლების ყურამდე მიიტანს“, თქვა ბრიფინგის დასასრულს გობიბერიძემ.

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გ ა ზ ე თ ი .

ყოველკვირეული გამომცემბა. №50 (1019), 12 დეკემბერი, 2016 წ. შპსი 50 თეთრი.

მზია ვაშალოძე დირექტორთა საბჭოს წევრად აირჩიეს



ოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის სათათბირო წარმომადგენლობითი გაერთიანების, დირექტორთა საბჭოს წევრების შერჩევა ონლაინ-არჩევნების გზით. გამოცხადდა დირექტორთა საბჭოების არჩევნების შედეგები:

მზია ვაშალოძე - გამარჯვებული - მზია ვაშალოძე, ხმების რაოდენობა - 41, სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბახვის საჯარო სკოლა – წერს საკუთარ ფეისბუქ-გვერდზე ოზურგეთის საგანმანათლებლო რესურსენტრის ხელმძღვანელი ლელა იმედაშვილი.

ამ დღეებში ქალბატონმა მზიამ შეიღობა შეიქმნა მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის სათათბირო წარმომადგენლობითი გაერთიანების - დირექტორთა საბჭოს წევრად აირჩიეს.

„განხორციელდა საქართველო-

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტი შემოქმედის ეკარძის დაფინანსება გათვალისწინებული არ არის

ამის მიზეზად ქალაქის მერი, ბეგლარ სიორიძე ეპარქიის მერ თეიმურაზი ქალაქის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების არამინობრივ ხარჯვას ასახელებს. გაზეთი „ალიონი“ ვთავაზობთ ორივე მხარის პოზიციას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ქალაქ ოზურგეთის მერი, **ბეგლარ სიორიძე**: მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ჩვენ განსაკუთრებულ პატივს ვცემთ მართლმადიდებელ ღელა ეკლესიას, პატრიარქს, სინოდს, რაც აბსოლუტურად გამორიცხავს ჩვენს ეკლესიასთან დაპირისპირებას.

აქ საუბარია ბიუჯეტზე, რომლის წინაშეც ყველანი, განურჩევლად რწმუნისა და იდეოლოგიისა, თანაბრად ვართ ანგარიშგადებული.

ასევე, ხაზგასმით მინდა განვაცხადო, რომ მე, როგორც ხალხის მერ არჩეული მერი, ანგარიშგადებული ვარ მოქალაქეების და არა კონკრეტული პირების წინაშე, რა წოდების მქონეც არ უნდა იყვნინი.

გამომდინარე აქედან, ბიუჯეტი ხალხის ფულია, რომელიც ჩვენი მოქალაქეების გადასახადებისგან შეგება და ნებისმიერმა ორგანიზაციამ მიზნობრივად და მაქსიმალურად გამოიყენოს უნდა დახარჯოს საბიუჯეტო თანხები.

ქალაქ ოზურგეთის მერიას, სხვა მხრივ, არანაირი დაპირისპირება და წინააღმდეგობრივი ურთიერთობა არ აქვს შემოქმედის ეპარქიასთან და მეუფე იოსებთან. დაფინანსებაზე უარის თქმის მიზეზი ის გახლავთ, რომ ფინანსური მონიტორინგის დროს ჩვენ ვერ დავინახეთ წინა წელს გაცემული თანხების მიზნობრივად ხარჯვა. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ თანხა, რომელიც წელს ეპარქიისთვის უნდა მიგვეცა, სხვა, ჩვენი ქალაქისთვის მიზნობრივად არაა უკლებლივ პრობლემების გადასაჭრელად გამოიყენებოდა. ხოლო ფინანსური საშუალების არსებობის შემთხვევაში, ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ ეკლესია-მონასტრებს, რომლებიც ნამდვილად საჭიროებენ დახმარებას, ჩვენ აუცილებლად დაფინანსებთ.

კიდევ ერთხელ ვუდასტურებ ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას ჩემს უდაღეს პატივსცემს და აღვნიშნავ, რომ ხსენებული საკითხის ამგვარად გადაწყვეტის მიზეზი გახლავთ ჩვენი უცვლელი პრინციპი, რომ საბიუჯეტო სახსრები უპირობოდ მიზნობრივად უნდა დახარჯოს, რაც სავსებით არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ მართლმადიდებელ ეკლესიას ვუპირისპირდებით. სწორედ ღელა ეკლესიის, რელიგიისა და პატრიარქისადმი უღრმესი პატივისცემის ნიშნად,



ჩვენ შეგნებულად არ ვასაჯაროებთ იმ არამინობრივი ხარჯვის ფაქტებს, რომელიც დოკუმენტაციამა ასახულია, თუმცა საპატრიარქოსა და კომპეტენტურ ორგანოებს აღნიშნულ დოკუმენტაციას აუცილებლად გადავცემთ.

მეუფე იოსები
შემოქმედის მიტროპოლიტი
– ვესურს, გამოვეხმუროთ ქალაქის მერის განცხადებებს და ეპარქიისადმი ადგილობრივი თეიმურაზი დოკუმენტაციას აუცილებლად გადავცემთ.

ნებისმიერი შემოწირულობა, დაფინანსება და მიზნობრივი დახმარება მოხმარდა და ხმარდება ეკლესია-მონასტრების მშენებლობას და განვითარებას;

დაფინანსება, რომელსაც ქალაქის მერია გამოყოფს, არასოდეს ყოფილა წელიწადში 55 000 (ორმოცდათხუთმეტი ათასი) ლარზე მეტი, ხოლო 2016 წელს გაცემული ნაკლები - 25 000 (ოცდახუთათასი) ლარს შეადგენდა;

ტაძრის არქიტექტორები და მშენებლები კარგად უწყინან, რომ აღნიშნული დაფინანსება ერთი მცირე ტაძრის მშენებლობისათვისაც კი არ არის საკმარისი;

ეპარქია საკუთარი მერების და საეკლესიო შემოწირულობებიდან ენაშტება საკუთარად შეჭირვებულ ადამიანებს საკვებით, მდიდარებით და სხვა;

მზადყოფნას გამოეთქვამთ, ხელისუფლების წარმომადგენლებთან და ფინანსისტებთან ერთად, ღელა ეკლესიის მხრიდან გამოყოფილი თანხის ხარჯვითი ნაწილი და ანგარიში; ასევე მზადყოფნას გამოეთქვამთ, შევთანხმდეთ სამომავლოდ, ანგარიშგადებულების ნებისმიერ მისაღებ მექანიზმზე.

ჩვენ გლოცულობთ მრევლისთვის, მთავრობისა და მხედრობისათვის, მათ შორის ქალაქის მერის და მისი თანამშრომლების სულიერი და ფიზიკური კეთილდღეობისათვის.

რატომ უნდა გამოიწვიოთ გაზეთი „ალიონი“

რატომ და, ყოველგვარი სკანდალების აგორების, გამოგონილი „წყაროების“ მოშველიების, ფსევდოექსკლუზივების გამოცხობის, მკვეხარა თვითრეკლამის გარეშე მიიღოთ პასუხი თქვენთვის ყოველთვის საინტერესო ხუთ კითხვაზე:

- რა?
- სად?
- როდის?
- რისთვის?
- რატომ?

გაზეთი „ალიონი“ – ყოველ ორშაბათს სხივამდგარი ალიონის შემომტანი თქვენ ოჯახებსა და დაწესებულებებში!

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
- მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
- 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
- ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
- შიდა შავთვით გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
- პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
- მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 20 ლარი;
- სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 50 თეთრი, ზელომწერა:
ერთი თვით - 2 ლარი,
სამი თვით - 6 ლარი,
6 თვით -12 ლარი,
ერთი წლით - 24 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიონაწარმოები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისგან არ მიიღებს სამ ზელნაწერ გვერდზე მეტ მასალას. გამოქვეყნებული მასალების გადაგვრდა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარეკლამო მომსახურება
რედაქციის
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100
საინფორმაციო სამსახურის
სელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515
კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060
რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი
ოჩხაბათი აციონზე
«ალიონით»

ქართული ბრენდი "გურიელი" ISO სერთიფიკატის ფლოგოპი გახდა



კომპანია "გეოპლანტმა", რომელიც ქართულ ჩაის ბრენდით "გურიელი" აწარმოებს, საერთაშორისო სტანდარტის ISO სერთიფიკატს მიიღო. ინფორმაციას ამის შესახებ კომპანიის ხელმძღვანელი, მიხეილ ჭკუასელი ავრცელებს. სერთიფიკატი კომპანიას **Lloyd's Register Gozetim** მიანიჭა. "გურიელის" შექმნის იდეა 2008 წელს გაჩნდა, რასაც მოჰყვა ორი წლიანი ინტენსიური მუშაობა აქციონერებთან, პროდუქციის მენეჯერებთან, მუშებსა და ფერმერებთან, ფინანსურ დაწესებულებებთან და სახელმწიფო მოხელეებთან, ასევე საერთაშორისო

პარტნიორებთან - მარკეტინგულ კომპანიებთან, ექსპორტიორებთან და კონსულტანტებთან. 2010 წელი კი შემობრუნების წერტილი გახდა, არა მხოლოდ ჩვენი კომპანიისთვის, არამედ მთლიანად ჩაის ინდუსტრიისთვის საქართველოში. ამ წელს ჩაის ქართული ბრენდი "გურიელი" წარსდგა ქართულ ბაზარზე." - კეთილშობილ "გურიელის" შექმნის ისტორიაში. კომპანია "გეოპლანტი" აერთიანებს შემდეგ ბრენდებს: „პრინცი გურიელი“ - პრემიუმ კლასის, უმაღლესი ხარისხის პროდუქტი. მწვანე და შავი დასაყენებელი ჩაი თუნუქის ქლაში და ასევე პირველად საქართველოში შავი ჩაი ერთჯერად ე.წ. **pyra-pack** (პირამიდის) შეფუთვაში. „გურიელი ექსპორტი“ - რომელშიც კლასიკური სახეობებია წარმოდგენილი: შავი, მწვანე, შავი ბერგამოტი და მწვანე ჟასმინი; „გურიელი ხილის ჩაი“ - ქართული კენკრა, ტყის ხილი და ქართული სუბტროპიკი; „გურიელი მცენარეული ჩაი“ -

პიტნის, გვირილისა და ღვევის მცენარეები; "რჩეული" - რომელიც მომხმარებელს სხვადასხვა სახეობის ჩაის სთავაზობს ხელმისაწვდომ ფასად; „ქართული ბაზის ჩაი №36“ - რომელიც შექმნილია სპეციალურად საქსპორტო ბაზრისთვის; "ალი სულთანი" - უფრო ინტენსიური და ძლიერი ჩაის მოყვარულთათვის, სპეციალურად მარნეულის და გარდაბნის რეგიონებისთვის. "გეოპლანტი" ამ დროისთვის აწარმოებს 60 სახეობის ჩაის, პროდუქციის ექსპორტი უკრაინასა და ევროპის რამდენიმე ქვეყანაში ხორციელდება. მარშან "გეოპლანტმა" სახელმწიფო პროგრამის - „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში, ოზურგეთში თანამედროვე მაღალტექნოლოგიური დანადგარებით აღჭურვილი, საერთაშორისო სტანდარტების მქონე 1300 კვ/მეტრზე განთავსებული ჩაის შესაფუთი საწარმო გახსნა. პროექტის საინვესტიციო ღირებულება 2 მლნ დოლარი იყო.

ნარჩენების მართვის მუნიციპალური ბიზნის საკითხებთან დაკავშირებით



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა შეხვედრა პროექტის „მუნიციპალიტეტების ღონეზე სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება და მათი ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში“ ფარგლებში. პროექტს ახორციელებს საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები - საქართველო, გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში (UNDP), სამხრეთ კავკასიაში შევი-

არჩილ თალაკვაძე - ჩვენ მხარს უჭერთ ბიუჯეტის ამ კონფიგურაციას



ჩვენ მხარს უჭერთ ბიუჯეტის ამ კონფიგურაციას, - ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა არჩილ თალაკვაძემ პარლამენტში რამდენიმე კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე 2017 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის დაწყებამდე განაცხადა. თალაკვაძის თქმით, დანარჩენი უკვე განხილვის დროს გახდება ცნობილი. „2017 წლის ბიუჯეტის პროექტის ძირითადი უპირატესობა არის ის, რომ ეკონომიკურად აქტიურ ნაწილებში იზრდება დაფინანსება, თანაც იმ ფონზე, როცა სოციალური და ჯანდაცვის ვალდებულებები ნარჩუნდება და კიდევ უფრო ძლიერდება. მცირდება ადმინისტრაციული ხარჯები და ამ ყველაფერს თან ერთვის ის ეკონომიკური და ფისკალური რეფორმები, რომლებიც თანხვედრაშია პრემიერ-მინისტრის და მთავრობის ოთხპუნქტიან გეგმებთან. ჩვენ მხარს უჭერთ ბიუჯეტის ამ კონფიგურაციას“, - განაცხადა თალაკვაძემ. 2017 წლის სახელმწიფო ბიუ-

ჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი 11 457,2 მლნ ლარით განისაზღვრა. სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები 11 415,5 მლნ ლარის ოდენობით განისაზღვრა, მათ შორის: - საბიუჯეტო სახსრები შეადგენს 10 338,3 მლნ ლარს, გრანტები - 154,5 მლნ ლარს, სოლო კრედიტები - 922,7 მლნ ლარს. სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ჯამური მოცულობა 9 121,2 მლნ ლარს შეადგენს.

განსწორება

გაზეთის წინა ნომერში მე-5 გვერდზე განთავსებულ მანანა ლომაძის წერილში „არის თუ არა ოზურგეთი 170 წლის ქალაქი“ მეორე სვეტის მე-3 სტრიქონში, ნაცვლად „პოლიტიკურ უბნად“, უნდა იკითხებოდეს „პოლიციურ უბნად“. წერილის ბოლოსწინა აბზაცში, მესამე სვეტის მეოთხე სტრიქონში, ნაცვლად „პროექტის ასისტენტი“, უნდა იყოს „პროექტის კონსულტანტი“.

ზომიერთ ბრენდირებულ საღებურზე საწვავი კიდევ 5 თეთრით გააძვირდა

საწვავის ფასი ზოგიერთ ბრენდირებულ საღებურზე კიდევ გაიზარდა. დღეის მდგომარეობით საწვავი „სოკარმა“ და „ლუკოილმა“ გააძვირა. 6 დეკემბრის შემდეგ ფასებმა „ლუკოილის“ ბენზინგასამართ საღებურზე 5 თეთრით მოიმატა. კერძოდ, ევრო სუპერის ფასი - 1.94 ლარი გახდა, მაშინ როცა 6 დეკემბერს 1.89 ლარი ღირდა; პრემიუმ ავანგარდის ფასმა 1.79-დან - 1.84 ლარამდე მოიმატა; ევრო რეგულარი 6 დეკემბერს 1.59 ლარი ღირდა, დღეს კი - 1.64 ლარი გახდა; 5 თეთრით მოიმატა ასევე ევრო ლიზელის ფასიც და 1.64 ლარიდან - 1.69-მდე გაძვირდა. ფასებმა 5 თეთრით მოიმატა „სოკარის“ ბენზინგასამართ საღებურზეც. კერძოდ, სუპერის ფასი 5 დეკემბერს - 2.04 ლარი იყო, დღეს კი 2.09 გახდა; პრემიუმის ღირებულება - 1.94 ლარი გახდა, მაშინ როცა 1.89 ლარი იყო; ევრო რეგუ-

ლარის ფასმა 1.74 ლარიდან - 1.79-მდე მოიმატა; რეგულარის ფასი 5 დეკემბერს 1.69 ლარი იყო, დღეს კი 1.74-ია; ასევე 5 თეთრით გაძვირდა ევრო ლიზელი, რომლის ფასიც 1.80-დან 1.85 ლარამდე მოიმატა; დიზელის ფასი კი 1.67 გახდა, მაშინ როცა 4 დეკემბერს -1.62 ლარი ღირდა. 6 დეკემბერს, საწვავი „ვისოლისა“ და „გალფის“ ბენზინგასამართ საღებურებზეც 5 თეთრით გაძვირდა. ბოლო 2 თვის განმავლობაში საწვავზე ფასები რამდენჯერმე გაიზარდა. ექსპერტთა შეფასებით, საწვავი კიდევ უფრო გაძვირდება მომავალი წლიდან, მას შემდეგ რაც მთავრობის მიერ დაანონსებული ცვლილება შევა ძალაში და ნავთობპროდუქტებზე აქციზის გადასახადი გაიზარდება.

**გამოიწვირეთ გაზეთი
ალიონი“
ერთი წლით - 24 ლარი;
6 თვით - 12 ლარი;
3 თვით - 6 ლარი;
1 თვით - 2 ლარი**

მოგავალი წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო აღმინისტრაციული წარმოება დაიწყო



ალიონი. 7 დეკემბერს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გაიმართა. დეპუტატებმა 2017 წლის ბიუჯეტის პროექტის შესწორებული ვარიანტი განიხილეს და მისი საჯარო აღმინისტრაციული წარმოება დაიწყო. ბიუჯეტში განსაკუთრებული ყურადღება ინფრასტრუქტურულ პროექტებზეა გამახვილებული. ცნობისთვის ბიუჯეტი მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე უნდა დამტკიცდეს.

მოგავალი წლის ბიუჯეტში თანხა არ არის გათვალისწინებული შემოქმედის ეპარქისთვის. ამის შესახებ მერს კითხვა დაუსვა დეპუტატმა, ლევან მგელაძემ. „მაშინ, როცა ვამბობთ, რომ რელიგია ჩვენი პრიორიტეტია, რატომ წერია მის გასწვრივ? გრაფაში ნული?“ - იკითხა დეპუტატმა. მერის განმარტებით აღნიშნული გადაწყვეტილებს მიზეზი ისაა, რომ წინა წელს გამოყოფილი თანხები ეპარქიამ არამიზნობრივად დახარჯა.

საკრებულოს სხდომა მცირე ხმაურის ფონზე ჩაიარა გურიანთის დეპუტატმა ბონდო ლლონტმა პროტესტის ნიშნად სხდომა დატოვა

მარი კომოვო

გასული კვირის ოთხშაბათს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გაიმართა. დღის წესრიგით სულ ოთხი საკითხის განხილვა იყო გათვალისწინებული. აქედან სამი ყოველგვარი ხმაურისა და დისკუსიის გარეშე დაამტკიცეს. მხოლოდ პირველ საკითხს მოჰყვა მცირედი პოლემიკა. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს გურიანთის დეპუტატმა, ბონდო ლლონტმა ჩამონათვლიდან სოფელ გურიანთაში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო მიწისა და შენობის ამოღება მოითხოვა. დეპუტატების უმრავლესობამ ლლონტს მხარი არ დაუჭირა, ამიტომაც დეპუტატმა პროტესტის ნიშნად სხდომა დატოვა.



რაც შეეხება სხვა საკითხებს: სხდომაზე დამტკიცდა, რომ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დასახლებების მიხედვით გადანაწილებული 1 234 876 ლარიდან გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მეშვეობით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შედეგად დარჩენილი ნაშთით, 32371,03 ლარით მოხდება სილაურში 200 მეტრი ბეტონის გზის მოწყობა.

აღნიშნული თანხები მოხმარდება წყალსადენის შიდა ქსელის რეაბილიტაციას, კულტურულ ღონისძიებებს, „მუნიციპალური მომსახურების ცენტრს“, გარე განათებას, შპს „მუნიციპალურ ტრანსპორტს“, ტურიზმის ხელშეწყობას, სოციალურ ღონისძიებებს, მრავალშვილიან ოჯახების, სოციალურ დახმარებებს. საჩუქრული ფონდი გაიხარდა 90 000 ლარით.

ოზურგეთში აბრარული სფეროს სპეციალისტები გადაგზავდნენ

მარი კომოვო



სამ დეკემბერს, ანაეულში კახა ბენდუქიძის საუნივერსიტეტო კამპუსის დასავლეთი საკრებულოს ცენტრში გაეროს განვითარების პროგრამის საგრანტო პროექტის „აგრარული პროფილის სპეციალისტების პროფესიული გადამზადების ცენტრის“ დასრულებასთან დაკავშირებით პრეზენტაცია გაიმართა. ამავე დღეს პროექტის მონაწილეებს სერთიფიკატებიც გადაეცათ, ნიშნად იმისა, რომ თითოეულმა მათგანმა „წარმატებით გაიარა აგრარული უნივერსიტეტის აგრარული პროფილის სპეციალისტების პროფესიული გადამზადების სრული პროგრამა“

ჩაი და სხვ.) მოვლა-მოყვანის სრული აგროტექნოლოგიური ციკლი და მათი შენახვა-გადამამუშავების ტექნოლოგიები. პროექტის ფარგლებში ბენეფიციარებმა გაიარეს სრული თეორიული, პრაქტიკული და ლაბორატორიული სასოფლო-სამეურნეო დარგების მიმართულებით. სპეციალური პროგრამებით ლექციებს და პრაქტიკულ მეცადინეობებს საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლები ატარებდნენ. ასევე გაიმართა ადგილობრივი წარმოების სასურსათო პროდუქტების გამოფენა-დეგუსტაცია. წარმოდგენილი იყო შპს „ანაეულის ექსპერიმენტული ჩაის ფაბრიკა“ შპს „შემოქმედის ექსპერიმენტული ჩაის ფაბრიკა“ შპს „გეოპლანტი“ შპს „ნატურა თი კომპანი“ ფერმერი „მამია ბარამიძე“ ფერმერი „ლევან ნიკოლაშვილი“ ინდემწარმე „ბახვა დოლიძე“


ოზურგეთის მუნიციპალიტეტი "ღია მმართველობის პარტნიორობის" სამოქმედო გეგმას შეუერთდა

მთავრობამ „ღია მმართველობის პარტნიორობის“ 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმა დამტკიცა.

საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა „ღია მმართველობის პარტნიორობის“ სამოქმედო გეგმაზე ისაუბრა, რომელსაც ოზურგეთის მუნიციპალიტეტი შეუერთდა.

„მუნიციპალიტეტებს მინდა ვუთხრა მადლობა, ეს არის ოზურგეთი, ზუგდიდი, ქუთაისი, ახალციხე, ბათუმი, რომლებიც პირველად ერთვებიან „ღია მმართველობის პარტნიორობის“ სამოქმედო გეგმაში.“ - თეა წულუკიანი.


შეგახსენებთ, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ღია მმართველობის სამოქმედო გეგმას, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობითა და სხვადასხვა პროექტების განხორციელებით შეუერთდა. მათ შორის: პროექტი „მართე სახლიდან“, რომელიც ინტერნეტ სივრცეში საკრებულოს სხდომების პირდაპირ ტრანსლირებას გულისხმობს და მას საკრებულო ერთ წელზე მეტია ახორციელებს. ასევე საკრებულომ თვითმმართველობის საკითხებზე სმს-ებით მოქალაქეთა ინფორმირებულობა დაიწყო. პროექტის ფარგლებში, რომელიც მოქალაქეების ჩართულობას თვითმმართველობის საკითხებში, მოკლე ტექსტური



შეტყობინების მეშვეობით შეეხება, სპეციალური ელექტრონული პროგრამა შეუმავდა. ოზურგეთის მაცხოვრებლები უკვე იღებენ მოკლე ტექსტური შეტყობინებით ინფორმაციას საკრებულოს სხდომების განრიგის, დღის წესრიგისა და სხდომებზე დასწრების პროცედურების შესახებ.

გურამ ასათიანი გურიის გარემოს დაცვითი პატრულირების და სწრაფი რეაგირების განყოფილების უფროსად დაინიშნა

გურამ ასათიანი 1960 წელს დაიბადა. 1986 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ხოლო 2003 წელს- შპს პოლიციის აკადემია, პროფესიით სამართალმცოდნე. იგი მონაწილეობდა აფხაზეთის 1992-93 წლების ბრძოლებში. იყო გვარდიის ოზურგეთის ბატალიონის უფროსის მოადგილე. ასევე მონაწილეობდა რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომში. არის პოლიციის ვიცე-პოლიკოვნიკი. მან შპს რიგებში გაიარა ყველა თანამდებობა რიგითი ოფიცერიდან შპს გურიის სამმართველოს უფროსის პირველ მოადგილემდე. 1995 წლიდან იგი მუშაობდა შპს გურიის სამმართველოს სისხლის სამართლის სამეხრო განყოფილების, შემდეგ ოზურგეთის რაიონული განყოფილების დეტექტივად. 2012 წლის ოქტომბრიდან მუშაობდა შპს გურიის მთავარი სამმართველოს პოლიციის უბნის ინსპექტორების სამმართველოს უფროსად; 2013 წლის მარტიდან - შპს გურიის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე კრიმინალური პოლიციის ზაზით. 2015 წლის იანვრიდან 2016 წლის დეკემბრამდე მუშაობდა საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ოზურგეთის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის



სერვისცენტრის იურისტად. 2016 წლის დეკემბრიდან დაინიშნა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოს დაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დასავლეთის რეგიონული სამმართველოს გურიის გარემოს დაცვითი პატრულირების და სწრაფი რეაგირების განყოფილების უფროსად. მუუღვე ნინო მშვიდლობაძე ექიმი. ჰყვავთ ორი შვილი ნია და ნინი.

ვინ და რა საბუთებით უმძლავრებს წასვლას ევროპაში?



უვიზო რეჟიმი გულისხმობს თავისუფალ გადაადგილებას შენგენის ზონის ტერიტორიაზე, რომელიც მოიცავს ევროკავშირის 22 წევრ ქვეყანას, ევროკავშირის 4 არაწევრ ქვეყანას და შენგენის 4 კანდიდატ ქვეყანას.

ქვეყნები, რომლებშიც წასვლას შეძლებთ:

ავსტრია, ბელგია, გერმანია, დანია, ესპანეთი, ესტონეთი, იტალია, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, მალტა, ნიდერლანდები, პოლონეთი, პორტუგალია, საბერძნეთი, საფრანგეთი, სლოვენია, სლოვაკეთი, უნგრეთი, ფინეთი,

შვედეთი, ჩეხეთი (წვერი ქვეყნები)

ისლანდია, ლიხტენშტეინი, ნორვეგია და შვეიცარია (არაწვერი ქვეყნები)

ბულგარეთი, კვიპროსი, რუმინეთი, ხორვატია (კანდიდატი ქვეყნები)

საქართველოს მოქალაქეები ვალდებული არიან დაიცვან: შენგენის ქვეყნებში შესვლისა და ყოფნის წესები; ადგილობრივი კანონმდებლობა; საავტომობილო მოძრაობის წესები; საზოგადოებრივი წესრიგი; სამართალდარღვევის შემთხვევაში, საქართველოს მოქალაქე

ლაქე დაქვემდებარება დეპორტაციას ან/და დაეკისრება პასუხისმგებლობა კონკრეტული ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, რასაც ყოველთვის მოსდევს ქვეყანაში შესვლის აკრძალვა 5 წლამდე ვადით.

მგზავრობის მიზნის დასადასტურებლად საზღვარზე უნდა წარმოადგინოთ შემდეგი სახის საბუთები:

- ტურიზმი და დასვენება:** უკან დასაბრუნებელი სამგზავრო ბილეთი;
- სასტუმროს ჯავშანი;** სამომავლო დაზღვევა;

მოგზავრობის ფინანსური უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტი. (ნაღდი ფული, სამგზავრო ჩეკი, მოქმედი საბანკო ელექტრონული ბარათები და ა.შ.)
ზმირ შემთხვევაში, აღნიშნული თანხა არ აღემატება დღეში 50 ევროს სასტუმროს ჯავშნის არსებობისას.

მონაწილეობა კონფერენციებში, სამინარამოში, საქმიან მუშაობებში და ა.შ.

ლონისძიების/კონფერენციის, სემინარის მოწვევა/პროგრამა; სასტუმროს ჯავშანი; სამომავლო დაზღვევა უკან დასაბრუნებელი ბილეთი;

მოგზავრობის ფინანსური უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტი. (ნაღდი ფული, სამგზავრო ჩეკი, მოქმედი საბანკო ელექტრონული ბარათები და ა.შ.)
ზმირ შემთხვევაში, აღნიშნული თანხა არ აღემატება დღეში 50 ევროს სასტუმროს ჯავშნის არსებობისას.

ნათესავების, მემობრების მონას უძღვება მიმღები პირის საკონტაქტო მონაცემები (მისამართი, ტელეფონის ნომერი და სხვ.);

იმ პირის ბინადრობის ნებადართვის ან შესაბამის ქვეყანაში ლეგალურად ყოფნის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის ასლი, რომლის მოსაწოდებლადაც მიემგზავრებით;

სამომავლო დაზღვევა; უკან დასაბრუნებელი ბილეთი;

მოგზავრობის ფინანსური უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტი (ნაღდი ფული, სამგზავრო ჩეკი, მოქმედი საბანკო ელექტრონული ბარათები და ა.შ.).

მკურნალობა სამედიცინო დაწესებულების თანხმობა

რეკომენდაცია, ჩაიტაროთ შესაბამისი მკურნალობა ევროკავშირის წევრ-ქვეყანაში;

სამედიცინო დაზღვევა მგზავრობის მთელი პერიოდისთვის; უკან დასაბრუნებელი ბილეთი;

მგზავრობისა და მკურნალობის ფინანსური უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტი (თანხა ნაღდი სახით, სამგზავრო ჩეკი, მოქმედი საბანკო ელექტრონული ბარათები, გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი და ა.შ.)

გახუმბი მენაბლე - საკონსტიტუციო კომისიის კმელი სახით ფორმირების გადაწყვეტილება ლობიკურია, რადგან პრეზიდენტს არ აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება



კონსტიტუციონალისტი ვახუშტი მენაბლე საკონსტიტუციო კომისიის ძველი სახით ფორმირების შესახებ გადაწყვეტილებას სრულიად ლოგიკურად აფასებს

იმის გათვალისწინებით, რომ პრეზიდენტს არა აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება.

როგორც მენაბლემ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, ეს არის იმ ტრადიციის გაგრძელება, რომელიც დაინერგა წინა მოწვევის პარლამენტში - მაშინაც პარლამენტის თავმჯდომარე ამავდროულად იყო საკონსტიტუციო კომისიის ხელმძღვანელი.

„აქ ჩვენ ლეგიტიმაციის პრობლემასთან არ გვაქვს საქმე. არც არაფერი დაშავდებოდა იმით, რომ პრეზიდენტი ყოფილიყო თანათავმჯდომარე, მაგრამ ეს გადაწყვეტილება, რომ საკონსტიტუციო კომისიას ჰყავდეს ერთი თავმჯდომარე პარლამენტის სპიკერის სახით, არანაირად არ არის პრობლემური“, - განაცხადა მენაბლემ.

ვახუშტი მენაბლეს აზრით, იმ შემთხვევაშიც, თუ საკონსტიტუ-

ციო კომისია იმუშავებს პრეზიდენტის ინსტიტუტის რეფორმაზე, მისი უფლებების შეზღუდვის მიმართულებით, სურათი არ შეიცვლება იმის მიხედვით, იქნება თუ არა პრეზიდენტის კომისიის თანათავმჯდომარე.

„წინა ფორმატში პრეზიდენტის წარმომადგენელი იყო კომისიის წევრი და მას ჰქონდა ერთი ხმა. პრეზიდენტის წარმომადგენელი აუცილებლად უნდა იყოს კომისიის წევრი, თუმცა პრეზიდენტის თანათავმჯდომარეობის პირობებშიც არსებითად არაფერი შეიცვლებოდა. თანათავმჯდომარეს რაიმე განსაკუთრებული უფლებამოსილება არ აქვს, მასაც ექნებოდა ერთი ხმა ისევე, როგორც ჩვეულებრივ წევრს ანუ ფორმალური თვალსაზრისით, პრეზიდენტს არავითარ უპირატესობას არ მიანიჭებდა თანათავმჯდომარეობა და

უმცირესობაში ყოფნის შემთხვევაში, ის ვერც ერთ იდეას ვერც დაბლოკავდა და ვერც განსაკუთრებულ ლობირებას გაუწევდა. ასე რომ, საკონსტიტუციო კომისიამ თუნდაც იმუშაოს პრეზიდენტის ინსტიტუტის რეფორმაზე (და, ალბათ, იმუშავებს), არ მგონია პრობლემა იყოს, რომ ამ დროს პრეზიდენტი არ არის თანათავმჯდომარე. ამ ლოგიკით სახალხო დამცველის ინსტიტუტსაც შეიძლება შეეხოს კონსტიტუციური რეფორმა, ისიც თანათავმჯდომარე ხომ არ უნდა იყოს?!“, - განაცხადა ვახუშტი მენაბლემ.

შეგახსენებთ, რომ ინიცირებულ იქნა საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტი სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის შექმნის შესახებ. დადგენილების პროექტი ითვალისწინებს სახელმწიფო საკონსტი-

ტუციო კომისიის დაფუძნებას იმავე ფორმატით, როგორცაა ის შეიქმნა ზუსტად სამი წლის წინ. კომისიის თავმჯდომარე იქნება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე. ირაკლი კობახიძის თქმით, საკონსტიტუციო კომისიის ფორმატთან დაკავშირებით სხვადასხვა პოზიციები არსებობდა, მათ შორის, იყო პრეზიდენტის შემოთავაზებაც, რომელიც საკონსტიტუციო კომისიის მუშაობას პარლამენტის თავმჯდომარის, პრემიერისა და პრეზიდენტის თანათავმჯდომარეობით ითვალისწინებდა. თუმცა მმართველი გუნდის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, საკონსტიტუციო კომისიის მუშაობა საპარლამენტო ფორმატში წარმართება.

ipn.ge

თოჯინების თეატრი ახალ მისამართზე ახალი გეგმებით

მარი კობახიძე



თოჯინების თეატრი ახალი წლისთვის აქტიურად ემზადება. როგორც თეატრის დირექტორმა, ლამა კუტალაძემ გვითხრა, ამზადებენ გასართობ შოუ-პროგრამას. პროგრამა ძირითადად წინა წლების სახალწლო ღონისძიებებიდან ამოკრებილი ნომრების გაერთიანება იქნება. ამ ყველაფრის რეჟისორი ოთარ კუტალაძეა. შოუები 2-დან 7 ანერის ჩათვლით გაიმართება.

როგორც საზოგადოებისთვისაც ცნობილი, ოზურგეთის სახელმწიფო თეატრი რემონტის პროცესშია. ამიტომ თოჯინების თეატრსაც ლოკაციის შეცვლა მოუწია. ახალ მის-

ამართზე თეატრს სამი ოთახი გამოუყვეს. ერთ-ერთი, შედარებით დიდი ფართობის, დარბაზად უნდა გამოიყენონ, რომელიც ორმოცამდე ნორჩ მაყურებელს დაიტევს.

ანეროდან ახალ დარბაზში განაახლებენ ყოველკვირეული უფასო სპექტაკლების ტრადიციას, რომელიც უკვე ცხრა წელს ითვლის და ბოლო სამი თვეა შეჩერდა, ანუ მანამდე, სანამ ალტერნატიული ფართი მოიძებნებოდა და მოეწყობოდა.

2017 წელს რამდენიმე სპექტაკლის გამოშვება იგეგმება. უკვე ანეროდან დაიწყება მუშაობა ორლოვის „ოქროს წიწილაზე“, რომელიც თებ-

ერვლის ბოლოსთვის იქნება მზად. მასში ბათუმიდან მოწვეული რეჟისორი კობა ფაცურია მ. გოგიანიშვილის „დობლოს“ დადგამს, რომელიც ანერის ბოლოს გამოვა. დაფინანსების შემთხვევაში კიდევ ორი სპექტაკლია დაგეგმილი ვახუშტი გინიშვილის „მოგზავრობა საზღაპრებში“ და ი. გოგებაშვილის „იანანამ რა ჰქმნა“.

ლამა კუტალაძე ბავშვებს და არა მარტო მათ, მომავალ ახალ წელს ულოცავს: „გილოცავთ და მოგიწოდებთ ნმირად ესტუმროთ თოჯინების თეატრს! – მიმართა ჩვენს მკითხველს თეატრის დირექტორმა.

ყავლგაუვალი აქსიომა: „ათასად კაცი დაფასდა, ათიათასად – ზრდილობა“



ალიონი. რაც უნდა პარადოქსულად აღვსინათ, XXI საუკუნის მერვე ათეულშიც კი საზოგადოებისათვის გვიხდება იმის მტკიცება, რომ საყოველთაოდ აღიარებულ, ცხოვრებისეულ აქსიომებს ყველი არ გასდით. ერთ-ერთი ასეთი აქსიომაა „ათასად კაცი დაფასდა, ათიათასად – ზრდილობა“.

გასული კვირის სამშაბათს, 6 დეკემბერს ქალაქ ოზურგეთის გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლის ბიბლიოთეკარის, ქალაქ ოზურგეთის საპატიო მოქალაქის, 95 წლის ქალბატონის, ზინა სალუქვაძის ხელმძღვანელობით, ამ სახელწოდებით გამართული საღამო დიდხანს არ დაავიწყდება ღონისძიებაზე დამსწრე საზოგადოებას.

სიტყვით გამომსვლელთა რაოდენობისა და შინაარსობრივი თვალსაზრისით თუ ვიმსჯელებთ, ეს უფრო კონფერენცია იყო, ვიდრე საღამო, მაგრამ იმდენად დროული და აუცილებელი, რომ დამსწრე საზოგადოება

ართუ დააფიქრა ზეგაინდულ დღეზე, ჩვენს მომავალ თაობაზე, არამედ დარბაზშივე ჩაბა იგი სწავლა-აღზრდაში არსებული პრობლემების მოგვარების პროცესში. სიტყვით გამოხსულებს სცენაზე თავიანთი მხატვრული ნომრებით ენაგებობდნენ სამრევლო სკოლის მოსწავლეები.

როგორ საეკლესიო, ისე საერო პირებსა თქვენს, რომ მოზარდის სწავლებაში უპირველესია აღზრდა, მისი პიროვნებად ჩამოყალიბება. საზოგადოებას მოუხრეს ჩვენს სასწავლო დაწესებულებებში გავრცელებულ ჩრდილოვან ტენდენციას და ე. წ. ქურდულ მენტალიტეტზე, რომლის აღმოფხვრელობამ შესაძლოა საგალალო შედეგებამდე მიგვიყვანოს.

დამსწრე საზოგადოება დალოცა მუფე იოსებმა, რომელმაც ვრლად ისაუბრა საერო და სამრევლო სკოლებში აღზრდა-განათლების მართებულ ფორმებსა და მართლმადიდებლობის დღევანდელ პრობლემებზე.

საჩვენებელი ბაკვეთილი მაკვანეთის საბავშვო ბაღში

ალიონი. 8 ოქტომბერს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მაკვანეთის საბავშვო ბაღის სასკოლო მზაობის ჯგუფში მოეწყო საჩვენებელი ბაკვეთილი, რომელსაც ესწრებოდნენ ა(ა)იპ სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრის სპეციალისტები და ამ ცენტრში შემავალი სხვა საბავშვო ბაღების წარმომადგენლები.

ბაკვეთილის მიზანი თამაშით სწავლება და ამ გზით აღსაზრდელთა სასკოლოდ მომზადებაა, რასაც შესაბამისი პროგრამის გათვალისწინებითა და ბავშვებთან საოცარი კომუნიკაციით შესანიშნავად გაართვებს თავი აღმზრდელმა და ბაკვეთილის წამყვანმა ნანული ანთიმემ, აღმზრდელმა ხათუნა წიგწივაძემ, მუსიკალურმა მასწავლებელმა ლია კალანდარიშვილმა, აღმზრდელის თანაშემწემ სვეტლანა ცელაძემ. რა თქმა უნდა, ამ წარმატებული ბაკვეთილის თავიდათავე იყო ბაღის მენეჯერი ნინო კალანდარიშვილი.

ეს ბაკვეთილი, ალბათ, არასოდეს დაავიწყდებათ მასში მონაწილე 21



აქაურ აღსაზრდელს: რუსუდან კილაძეს, ანასტასია ჭანუყვაძეს, ლუკა მსხალაძეს, თეკლა თოიძეს, გიორგი ცეცხლაძეს, ოთარ გონის; გიორგი კონტრიძეს, დათო გოგიჩაძეს, ნინო ხინთიბიძეს, ნიკოლოზ ცელაძეს, ლუკა ცელაძეს, მარიამ გაბაგას, დათუნა ნაცვალაძეს, თამარ თოიძეს, ელენე თოიძეს, ანასტასია აბაშმაძეს, ანდრია ლლონტს, საბა მიქაძეს, ლიზა თოიძეს, მათე ქათამიძეს, გაბრიელ ქათამიძეს. ა(ა)იპ სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრის

სპეციალისტის ნაილი გრძელიძის თქმით, ცენტრის საბავშვო ბაღებში 16 სასკოლო მზაობის ჯგუფია 340 აღსაზრდელი. ეს ბავშვები წესით 13 საათამდე უნდა ჰყავდეთ საბავშვო ბაღებში, მაგრამ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, ისინი დღის ბოლომდე რჩებიან აქ და როგორ უმცროსი ასაკის ბავშვებს, მათაც აქვე უფასო სამჯერადი კვება და სხვა შესაბამისი სერვისები.

სიმღერა სახალხო გმირ ივანე ფარეშვი

გვიან შუა საუკუნეებში გურიას დიდი განსაცდელი დაატეხა თავზე მეზობელმა ოსმალითა. საუკუნეთა განმავლობაში მძიმე ბრძოლით ილაგაგაწვეტილმა სამთავროს ხელისუფლებამ ვეღარ შეძლეს მტრის მოგერიება და ქვეყნის დაცვა ხალხმა აიღო ხელში.

სასწავლებლს ჩადიდდნენ ხალხის წრიდან გამოსული მეთომრები, რომელთა შორის განსაკუთრებით გაითქვეს სახელი სოფელ ხევის (ხეშო გურია, გუბაზეულის ხეობა) მკვიდრმა ბულარა მამალაძემ და მისმა ძმებმა იესემ და გიორგიმ. მალე მათ გოგოლეუსუნელი ივანე სინარულიძე (1784-1884) და მისი

ახლობლებიც ამოუღვენენ გვერდით და ოსმალითის დამარცხებამდე არ შეუწყვეტიათ ბრძოლა.

მადლიერმა ხალხმა ამ გმირებისადმი სიყვარული და პატივისცემა სასიმღერო ლექსებით და სიმღერებით გამოხატა.

მრავალმა ასეთმა ლექსმა მოაღწია ჩვენამდე. მათი უმეტესობა ბულარა მამალაძეს და მის ძმებს ეძღვნება, ნაწილი კი ივა ფარეშვი შეითხუელი.

აი, ერთი იმათგანი: მთებმა გული გაუკაჟეს ჩანჩქერებმა მისცეს ძალა, გოგოლეუთის სიამაყე ისტორიის წყვედის ალაკს.

იქ ფარეშის კრიმანჭული შერჩენია ხევეს ექოდ, მისი კოხტა ნაფეხური აცისკროვნებს ყველა ბექობს. ერისთავის კარზე გაზრდილს, უშიშარ გმირს ივა ფარეშს, ისე დაუფრთხია მტრები წიწილაც კი ვერ წავკარეს. ასი წლის გარდაიცვალა აღდგომა დღეს, ადრე დილით, დარჩა სასახელო შვილი და მრავალი შვილისშვილი.

ლაურა გიორგაძე
ასოციირებული პროფესორი

ფუტკრის მიერ სასოფლო-სამეურნეო კულტურების დამტვერვა და მეფუტკრეობის საკვები ბაზა



გარდა იმისა, რომ ფუტკარი იძლევა უაღრესად მნიშვნელოვან, სასწავლო მოქმედ პროდუქტებს – თაფლს, ცვილს, დინდვილს, ყვავილის მტკვრს, შხამს, სადღე ფუტკრის რძეს, იგი ამავე დროს ხელს უწყობს სასოფლო-სამეურნეო კულტურების დამტვერვას და ამით 60-65%-ით ადიდებს ამ კულტურების მოსავლიანობას. ამავე დროს იზრდება ხარისხი, ზომა-წონა, მაქირანობა, ჩქარდება დამწიფება. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ გზით მიღებული თვისება მცენარეს მემკვიდრეობით გადაეცემა.

დადგენილია, რომ ყვავილების 90%-ს ფუტკრები ამტვერიანებს. ჩვენში ფუტკარს მიეღი წლის მანძილზე დაახლოებით 80-100 კგ თაფლი სჭირდება, გარდა თაფლისა, ფუტკარი წლის განმავლობაში ხარჯავს 30-32 კგ ყვავილის მტკვრს (ჭვიოს). ფუტკარ-

მა 100 გრამი თაფლის შესაგროვებლად უნდა მონახულოს მილიონამდე ყვავილი. ერთი კილოგრამი თაფლის შესაგროვებლად კი დაახლოებით 360-450 ათას კილომეტრამდე უნდა იფრინოს.

ფუტკრის საშუალებით სასოფლო-სამეურნეო კულტურების გვერდითი დამტვერვა საქართველოში არაა დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. ამის ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ არ არის შემუშავებული და დანერგული დამტვერიანებაზე მომუშავე ფუტკრების შრომის ანაზღაურება.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების დამტვერიანებისათვის საჭიროა მოცემული ფართობისათვის საკმაო რაოდენობის ფუტკრის ოჯახები და ნაკვეთებზე მათი თანაზომიერად განლაგება, არ არის რეკომენდებული ფუტკრის ოჯახების გაფანტვა, რაც მათ მოვლა-პატრონობის საქმეს ართულებს და ზედმეტ შრომას მოითხოვს. უხვი მოსავალი რომ მივიღოთ, საჭიროა 3 კმ დიამეტრის მქონე დასამტვერავი ფართობის ბოლოებში ცალ-ცალკე მოვათავსოთ ფუტკრის ოჯახები.

თუ ფართობი 50 ჰექტარზე მეტია, ამ შემთხვევაში საჭიროა შემხვედრი დამტვერვა, ე. ი. ფართობის სიღრმის მიხედვით საფუტკრის 2-3 ნაწილად გაყოფა ისე, რომ თითოეული მათგანი ერთმანეთისაგან დაშორებული იყოს არაუმეტეს 500 მეტრისა. თუ ფართობი

50 ჰექტარია, მაშინ საფუტკრე ნაკვეთის შუაში უნდა დაიდგას. პრაქტიკით დადგენილია, რომ ყოველ 25 ჰექტარ ხეივლის ბაღზე საჭიროა ფუტკრის 50-60 ოჯახი, ანუ ჰექტარზე 2-3 ოჯახი.

სათბურის ყოველ 700-1000 კვადრატულ მეტრზე საკმარისია ფუტკრის ერთი ძლიერი ოჯახი. სათბურში შეყვანილ ფუტკრის ოჯახს უნდა ჰქონდეს კარგი ვენტელაცია, იორი საფრენი და სასურველია დამატებითი სავენტილაციო იყოს სკის ფსკერზეც. მვე დროს, სათბურში უნდა მოაწყოთ საწყურებელი (დაფუდვით წყალი).

ფუტკარი ერთადერთი არსებაა ჩვენს პლანეტაზე, რომელიც საკუთარი არსებობისათვის არ აზიანებს გარემოს, პირიქით, აკეთილშობილებს და ამრავლებს მას. ფუტკარი ბუნების ერთ-ერთი ფუნქციონალი და მისი საფუძვლიანი შესწავლა ხელს შეგვიწყობს გავადრმაგვით ჩვენი ცოდნა ბუნებაზე, უკეთ შევიცნოთ მისი კანონზომიერება და ევოლუცია.

იმისათვის, რომ მაღალპროდუქტიული იყოს ფუტკრის ოჯახები, საჭიროა ბუნებრივი რესურსის მაქსიმალურად გამოყენება და ათვისება სწორი და გვერდითი ორგანიზებით.

ყველა მეფუტკრეს უნდა შეეძლოს საკვები ბაზის შეფასება. თუ მეფუტკრეს ფუტკრის მომთაბარობის ტენიკური ორგანიზაცია და კულტურა

აქვს, მისი საქმიანობა აუცილებლად წარმატებული იქნება, რაც გამოიხატება უხვი და მაღალი ხარისხის პროდუქტის მიღებაში. სამაგალითოდ გამოდგება შემოქმედის ეპარქიის ეპისკოპოსის, მუფე იოსების საფუტკრე მუერნობა.

საფუტკრისათვის ადგილის შერჩევა, მომთაბარების ორგანიზაცია მეტად საპასუხისმგებლო და ყურადსაღებია საქმე, ვინაიდან მცირეოდენ შეცდომასაც კი შეიძლება მოჰყვეს გართულებები.

გარემოს დაცვა საყოველთაო საკაცობრიო პრობლემაა, რომელსაც ნაციონალური საზღვრები არ გააჩნია. ტყის გადარჩენის გზად მიგვაჩნია სანაკრძალო, დაცული ტერიტორიებისა და ეკოპარკების სისტემების შექმნა, რომელიც ამავე დროს ხელს უწყობს გარემოს გაჯანსაღებას, ტურიზმის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების უზრუნველყოფას.

ბავშვის თქმა აქტუალური უნდა იყოს კულტურული და სულიერი აღზრდისათვის. მომყავს ციტირება გავით „ალიონის“ 24 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებული მასალიდან „ჩვენი პატარა ხელებით ბუნებას ქუჩებსა და ველებს მივუშველით“: „ეთხოვთ პლაქის ყველა მცხოვრებს, სკოლებს, წარმოება-დაწესებულებებს, ჩაბან ჩვენს პროექტში, დავრგოთ ქალაქის ქუჩებში თაფლოვანი და მარადმწვანე მცენარეე

ბი, მხარი დაუჭიროთ ჩვენს პატარა მეგობრებს, რათა კიდევ უფრო ლამაზი იყოს ჩვენი ქალაქი“.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ამ კეთილ საქმეში ჩართული არიან ჩვენი საზოგადოების უფროსი თაობის წარმომადგენლები: ოზურგეთელი თემურ ვასაძე, გონა ჭვიშვილი, ზაზა გოგუაძე თავისი გუნდით, ვაჟა პატარავა, ტარიელ ცეცხლაძე, წარმატებული მეფუტკრე ფერმერები მამა-შვილი გივი და ლევან ნინიძეები; დამსასურებელი ვეტერანი მეფუტკრე ვალოდი კვაჭანტირაძე, ბიოფერმერი ვასილ მუგანაძე და ბუნების ქომავი გიგლა ბორჩხაძე, ახალგაზრდა მეფუტკრე მაკვანეთიდან რეზიკო მსხალაძე, ჩონატაურიდან – როლიკო მიქაშვიძე, გაგა ლორია, ლანჩხუთიდან – რამაზ ცეცხლაძე.

ჩვენი ბუნება ეროვნული სიმდიდრეა. დავრგოთ და გავანაროთ სიცოცხლის ხე. გრძელვადიანი მიზნები მიღწევა მხოლოდ მოკვლევადიანი და დროული ღონისძიებებით.

ესაა კულტურული საქმიანობის ორგანიზაციული ფორმა, რომელიც მიზნად ისახავს ეკოლოგიური, კულტურული მემკვიდრეობის დაცვას ჩვენი მომავალი თაობების საკეთილდღეოდ.

ჯანგირალი ციხელაძე

ეკოლოგი, გურიის მეფუტკრეთა კავშირის თავმჯდომარე
ტელ. 599 21 43 44.

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა



2-4 დეკემბერს ქ. ბათუმში ჩატარდა მსოფლიოს სამეზბის ჩემპიონის როსტომ აბაშიძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის. მონაწილეობდა

თურქეთის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს ქალაქებისა და რაიონების გუნდები, მათ შორის ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის ნაკრები

გუნდიდან ჩემპიონები გახდნენ: 50კგ წონით კატეგორიაში **გიორგი თოხაძე** (მწვერთნელები ირაკლი და ვლადიმერ ზურაბიანები), 100კგ წ.კ.-ში **კუკური ბარბაქაძე** (მწვერთნელი კახაბერ აბაშიძე). მეორე ადგილი დაიკავა 85კგ წ.კ. **ცოტნე ცინცაძემ** (მწ. ი.ზ. ზურაბიანები). მესამე ადგილზე გავიდნენ 46კგ წ.კ. **გია ვანაძე**, 85კგ წ.კ. **საბა ლლონტი** (მწვ. გურამ მაჭარაშვილი).

პრივი

1-4 დეკემბერს ქ. ზუგდიდში ჩატარდა ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ღია პირველობა კრივიში სხვადასხვა ასაკში. მონაწილეობდა სომხეთისა და საქართველოს ქალაქებისა და რაიონების გუნდები. აღნიშნულ ღონი-

სიებაში წარმატებით გამოვიდნენ ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის აღსაზრდელები.

ჩემპიონები გახდნენ: 2007-2008 წლებში დაბადებულთა შორის 40კგ წონით კატეგორიაში

დემეტრე გორგოშიძე, 2003-2004 წ.დ.შორის 39კგ წ.კ. **ოთო აბესაძე**. მეორე ადგილი დაიკავეს 2003-2004 წ.დ.შორის 33კგ წ.კ. **გივი გობრონიძე**, 2001-2002 წ.დ.შორის 42კგ წ.კ. **რომა აბესაძე**. (მწვერთნელი იულონ საჯაია.)

ოზურგეთში ფეხბურთის ღია ტურნირის 90 წლის იუბილეს ეძღვნება



ოზურგეთის ვეტერან ფეხბურთელთა კლუბი „ბერძენა“ აგრძელებს ამხანაურ შეხვედრებს სოფლებში ვეტერან ფეხბურთელთა ადგილობრივ

გუნდებთან. ეს შეხვედრები ოზურგეთში ფეხბურთის ისტორიის 90 წლისთავს ეძღვნება. პირველი შეხვედრა „ბერძენას“ ვეტერანებმა სოფელ დვბაზში გამართეს.

გამგობის კულტურის, სპორტის და ტურიზმის განვითარების სამსახურის და ცენტრის მხარდაჭერით ჩატარდა ამხანაური თამაში ფეხბურთში, ერთმანეთს შეხვედნენ ოზურგეთის და ნატანების ვეტერან ფეხბურთელთა ნაკრები.რომელიც დასრულდა ფრედ, ანგარიშით 4:4.მატჩს ესწრებოდა კულტურის ცენტრის სპორტის განვითარების გაგე გოჩა კრასოტკინი.

ასეთი ხელმძღვანელები გადაარჩინებ სოფლებს დაცლისგან

ყურადღება, პასუხისმგებლობა, ზრუნვა – ეს ის თვისებებია, რომლითაც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდა გამგებელი მერაბ ჭანუყვაძე გამოირჩევა ბევრი სხვა ხელმძღვანელი პირისაგან.

მინდა მას დიდი მადლობა გადავუხადო როგორც მთლიანად სოფლის, ისე ჩემი ოჯახისადმი გამოჩენილი გულისხმიერებისათვის. წარმატებებს და გამარჯვებებს ვუსურვებ ბატონ მერაბს პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში. სწორედ ასეთი ხელმძღვანელები გჭირდება, ასეთი პიროვნებები გადაარჩინენ სოფლებს დაცლისგან.

მერი შავაძე, სოფელი მთისპირი (უკანაა).

სკანვორდი



		მდინარე		წყლის საველე ჭურჭელი							ძღვენი			კიევის დინამოს ყოფილი ფეხბურთელი
					მშობელი						ჩვილის საწოლი			
											რმის ნაწარმი			
	ნაცრისფერი ქათამი	ვაშის ჯიში		ჩარლი ჩაპლინის ბოლო მეუღლის სახელი		სასიმინლე								ა. ყაზბეგის ერთ-ერთი პერსონაჟი
						ასკანიანი სოფელი				სხვაობა		ალკოჰოლის მიღება	სმენადაკარგული	
			ვაშლის ჯიში	ძვირფასზე რქნიანი მცენარე	გამწარებით სეტიალი		ქართული გვარი							
							წუთისოფელი	ძველი ჩასქელებული ღვინო			ჩურჩხელა გურულაღ		პაგარა ჩიგი	
				პოლონეთის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი			უმიწო გლეხი				ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია			განძი
	სოლი	დედა აჭარულად									ხვეწნა			იგივეა რაც ცული
		საქართველოს მგოსანი	სანახაობი თი ხელოვნება	ძილის მოვიდება					სასჯელი იარაღი					
							რეპტილია			ღიას				

№ 49-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე – გიზო ჟორდანი; ღია აივანი – ბანი; ქართველ მკლავჭიდელთა თავგაყი –ასანიძე; ქალაქი ნიკარაგუაში – ალაბარი; ქალაქი ჩეხეთში – რატისლავა; ცხელზე დიდი ცანჭური რუსეთში – ილია მურომეცი; ცხელი გასეირნება – ჯირითი; გაზაფხულის ყვავილი – ქნებლა; ცამონათბალი ქალაქი – სია; მუსლიმის ლოცვა – ნამაზი; პურის მოსავლის აღება – მკა; ოზურგეთელი გენერალი – ლესელიძე; მინაური ფრინველი – ინდაური; სოფელი აფხაზეთში – აჩიგვარა; სამლოცოვარო სამოსი – ძაძა; ნადირობის ქალღმერთი – დალი; ამუშავება – აჭრა; ერთი კაცის საკვები ნორმა – ულუფა; წყლის ძველბურთი ჭურჭელი – თუნგი; – იისფერი სხივი – ულტრა; ცეცხლის გასაჩაღებელი – ასანთი; გოგონა შემოკლებით – გო; დიდი – მარულა; მესამე პირის ნაცვალსახელი – იგი; მსამიანი გველი – გიორგა; – ფანასკრტული – ზაზა; მხედარი – ჟოკეი; მუნას რომ ესევა – მუმლი; გეოგრაფიული სწორი ზანი – წირი; აკრძალვა – ტაბუ; მარშრუტის ერთი ზანის შესრულება – რეისი; – არენა; აზოტოვანი ნაერთი – ამონიუმ; მსუბუქი ქარი – სიო; წვიმის სახეობა – ჟუჟუნა; თბილისის ყოფილი მერი – გიგი; უძველესი სახელმწიფო კავკასიაში – ურარტუ; სტადიონი რიოში – მარაკანა; ფხალის სახეობა – ჭყანა; ბრმა, დაუნახავი – ბეცი; პატარა გუბე – გუბურა.

გურულთა და გურიელთა ზღლილი 1877-1878 წლების რუს-ოსმალის ომში ქვემო გურიის და აჭარის დედა სამთავროსათვის შემოერთების საქმეში

ბაბრქაძე. დასაწყისი იხილეთ №47-49, 2016წ.

რუბრიკას უძღვება ოსმალეთის ისტორიული გეოგრაფიის მიხედვით მანანა მამარაშვილი



გრიგოლ გურიელი

განსაკუთრებით რთული იყო ოზურგეთში დაბანაკებული ოზურგეთის საბრძოლო რაზმების ამოცანები.

„სულთანის თურქეთის საზღვრებში საუკუნეების მანძილზე მოქცეული ქობულეთის მხრეში შესვლა ოზურგეთის რაზმის სარდლობას ასე ჰქონია ჩაფიქრებული.

ოზურგეთის რაზმი 12 აპრილს, ადრე დილით გადადის ჩოლოქის საზღვარზე სამი კოლონიით.

წმინდა ნიკოლოზის საგუმბაგოდან-შეკვეთილ-ნატანების მხრიდან უტევს მარჯვენა კოლონა ალექსანდროპოლის პოლკის მეთაურის, პოლკოვნიკ თავად აბაშიძის წინამძღოლობით.

შუათანა კოლონა გენერალ-მაიორ შელეშვილისა, რომელიც სხვა შენაერთებთან ერთად შედიოდა ქართული ქვეითი დრუჟინა თავად იასონ ჭავჭავაძის მეთაურობით, მიემართება ოჩხამურისკენ.

ხოლო ექადაისთან თავმოყრილი კოლონა გენერალ-მაიორ დანიბეგოვისას (დანიბეგოვისისა), იესე გურიელის გურულთა ქვეით დრუჟინასთან ერთად, ჩოლოქის საზღვარს გადალახავს მდინარე ჩოლოქის საგუმბაგოსთან.

ოზურგეთის რაზმის სარდალი გენერალ-ლეინტენანტი ოვლობჟიო, და შტაბის უფროსი პოლკოვნიკი ყაზბეგი, იმყოფებოდნენ შუათანა კოლონაში.

მათთან ერთად იყვნენ საკორდონო ხაზის უფროსი პოლკოვნიკი, თავადი გრიგოლ გურიელი, რაზმის კომენდანტი პოდპოლკოვნიკი მეფისოვი, პოლკოვნიკი მიქელაძე სარდლის ადიუტანტი, შტაბს-კაპიტანი ყაზბეგი.

საომარ მოქმედებათა დაწყების წინ, რუსეთის შეიარაღებულ ძალებზე უკეთ აღჭურვული ანატოლიის არმია, რომლის ძირითად ძალებთანაც უხდებოდა ბრძოლები გურიის რაზმს. 70 000 მებრძოლის და 96 ქვემეხს მოითვლიდა.

ომის დაწყებისთანავე, საბრძოლო ოპერაციების მიმდინარეობისას ამ არმიის მისაშველებლად დაიდრა სიროს 33 000 —იანი

კორპუსი. ამას ზედ ერთვოდა მუშირ მუხტარ-ფაშას 22 000 იანი კორპუსი. მუშინი მუხტარ-ფაშა ითვლებოდა ამავე დროს ანატოლიის არმიის მთავარსარდალად. არმიის შტაბს სათავეში ედგა მეხმედ ფეიზფაშა, ცხენოსანთა კორპუსს სარდლობდა ყოფილი რუსი ოფიცერი გაზი მაგომი, შამილი და გენერალი მუხაფაშა კურდუხიაკი.

მუშინ მუხტარ ფაშას ძირითადი მიზანდასახულება იყო ბათუმიდან ქუთაისის მიმართულებით შეტევა. ოსმალთა იმ ცეცხლოვან ნაკადს საბრძოლო გზის ამ მონაკვეთზე ოზურგეთზე უნდა გაეგლო და ფერფლათ და ნაცრად ექციათ გურიელთა ყოფილი სატახტო. მტრის რაზმის ბარბაროსობა გურიის რაზმის ენერგიულმა მოქმედებამ დაასამარა. ოზურგეთი გამაგრებული და განმტკიცებულ იქნა. მის დამცველ მებრძოლებს სათავეში ედგა გენერალ-მაიორ ლევან გურიელი, მას სახელგანთი გრიგოლ გურიელისა, რომელიც შემდგომში ამ პოსტზე პოლკოვნიკმა გურჩინმა შეცვალა.

დასახული მიზნის აღსრულება უპირველესად გურიის რაზმის მარჯვენა კოლონამ წამოიწყო შეკვეთილის წმინდა ნიკოლოზის სიმაგრედან პოლკოვნიკ თავად აბაშიძის მეთაურობით. თავსხმა წვიმაში მამაცი მებრძოლების მიერ გურიის ქვეყნის რუბიკონი-მდინარე ჩოლოქი ფიქსირებული მარშით იქნა გადალახული. ოსმალთა მებრძოლებმა ტყვიის გასროლა კი ვერ მოასწრეს, ჩოლოქს რამდენიმე საგუმბაგო რუსთა მხედრობას დანებდა.

მარჯვენა ფლანგს გენერალ დანიბეგაშვილის სარდლობით მოქმედი არც მარცხენა ფლანგი ჩამორჩა. რუსთა და გურულ მოლაშქრეთა შენაერთებმა ერთდროულად ბრძოლის შედეგად ძველთაგანვე გურიის ქვეყნის უძველეს მიწა-წყალზე-ქობულეთის მხარეში შეაღწიეს და იქვე დაიკავეს საბრძოლო პოზიციები.

ქობულეთის მიწა-წყალზე შეერთებული მარჯვენა და მარცხენა ფლანგის ორთავე კოლონა ახლა ლელვა-ოჩხამურის მიმართულებით დაიდრა მუხაესტატესთან ოსმალთა გამაგრებული პოსტების შესაშუსრავად.

პირველი იერიში მამაცმა გენერალმა ოსმალთა რისხვამ, ტყვია წაუკარებელმა დანიბეგაშვილმა წამოიწყო. მის კოლონაში ირიცხებოდა თავად იასე გურიელის გურული დრუჟინა, და თავად იასონ ჭავჭავაძის პირველი ქართული ქვეითი დრუჟინის ნაწილი.. ლელვასთან გამართულ ამ სისხლისმღვრელ ხმალთა კვეთებაში გურიელებმა გმირობისა და მამაცობის სასწაული აჩვენეს. დიდი იყო დანაკარგი. მიუხედავად ამისა იყო-ქართველთა ერთიანმა ლაშქარმა, ფინდიხის ცეცხლის ძლიერი დაშენის შემდეგ მუხაესტატე „ფერხითი განირთხო“.

14 აპრილს გააფთრებულ ბრ-

ძოლაში თურქებთან გამარჯვებული გენერალ შერემეტოვის კოლონამაც მუხაესტატეში დაიღობინა. აღნიშნულის შემდეგ წინ სოფელი ხუცუბანი აუღებელი და შეუვალი გურიის გიბრალტარი ციხისძირის სიმაგრე იყო აღმართული, გადაულახავი ბასტიონი.

ხუცუბანი მუხა-ესტატეს ბრძოლებში განსაკუთრებით თავი ისახელა გენერალ დანიბეგაშვილის რაზმმა, რომელმაც იერიშით აიღო ხუცუბნის ყორღანი. ამ ყორღანის მამაცმა მებრძოლებმა დანიბეგაშვილს ყორღანი შეარქვეს.

ამავე ბრძოლაში ოსმალთა „დელიბაშებს“ თავდაუზოგავად ებრძოდა პოლკოვნიკ ბეჟიაშვილის 151 ქვეითი პიატიგორსკის ლეგიონი, მაგრამ გურიის დრუჟინის საბრძოლო შემართებას მაინც ვერაფერს შეედრებოდა. განსაკუთრებით აქტიურობდა შტაბს-კაპიტან იასე გურიელის ჩაქუროსნები. მისი მებრძოლები ყოველთვის ავანგარდში იმყოფებოდნენ. შესანიშნავად იცნობდნენ საბრძოლო ასპარეზის თითოეულ მონაკვეთს, ყოველი მათგანი მოპოვებული გამარჯვების ნამდვილი სულისჩამდგმელი იყო.

ხუცუბან-ლეღვა მუხა-ესტატეს ბრძოლის შემდეგ „გურიის რაზმს“ ქობულეთის რაზმის სახელი მიეკუთვნა, თუმცა როგორც პირადი, ასევე შემადგენლობით იგი აშკარად „გურულური“ იყო.

მდგომარეობა თანდათანობით რთულდებოდა, თურქები ფეხს არ იცვლიდნენ გამაგრებული პოზიციებიდან. უხვად იღვრებოდა ოსმალური სისხლის ნაკადი, მაგრამ იარაღითა და ფინდიხის ცეცხლით მოცეცილებს ახალ-ახალი მწკრივები ენაცვლებოდნენ.

25 აპრილს ქობულეთის „გურულური რაზმი“ ძლიერი ცეცხლის ქვეშ აღმოჩნდა. გენერალ-ლეინტენანტმა ოკლიბუიომ მახლობელი სიმაღლის იერიშით აღება ბრძანა. ბრძანების დაუყოვნებლივ აღსრულება გურიის ლაშქრის მეთაურს ასეულს დაევალა. სიმაღლის მცველი ოსმალთა მებრძოლები ერთიანად უნდა გაეწვივით და იქვე იმპერიის ორთაგანი არწივის გამოსახულებიანი დროშა უნდა აფრიალებულიყო.

გურულმა მოლაშქრეებმა ერთი დაკრით აიღეს მდლობი და ოსმალთ დელიბაშები ელვის უსწრაფესად აჩეხეს რუს მებრძოლთა თვალწინ. მათი გმირობით თვით ოკლობუიო იქნა განცვიფრებული, რომელიც იმხანად ოზურგეთში მყოფ კავკასიის არმიის მთავარსარდალს თანაშემწეს გენერალ სვიატოპოლკინსკს აუწყებდა გურულ მოლაშქრეთა მიერ განსახიერებულ ამ საოცარ გმირობას სადარს ლაქედემონელ სპარტანელებისას აქემენიანთა ირანის უკვდავებთან“ შერკინებისას ურმობილეს კლდეკართან.

გურული მოლაშქრეები იმდენად გაუტაცნია ბრძოლას, რომ მათი შეჩერება შეუძლებელი შე-



ესე გურიელი

ქმნილა.

„მარჯვენა ხელში დაჭრილი ურიადნიკ შარაშენიძეს მარცხენა ხელში ეჭირა თოფი და შეუჩერებლად სპობდა მოწინააღმდეგეს. ბრძოლის ველზე გმირულად დაეცა 16 მამდ შეფიცული ლიხაურელი. სრულიად ახალგაზრდანი. 20-22 წლის უწვერულვამო ყმა ჭაბუკები, რომლებიც მოხალისეებად ჩაეწერნენ გურულთა ასეულში საბრძოლო ოპერაციების დაწყების წინა დღეს.

გამოჩენილი გმირობისათვის მეოთხე ასეული, ხიმტებზე ყაბალახით ქობულეთის „გურიელი რაზმის“ მწყობრის წინ გაატარეს. რაზმის ყველა მებრძოლი მიესალმებოდა მათ. კაპიტან მყაშვილს გადაეხვია ლაშქრის მეთაური იასე გურიელი და საქართველოს დიდებისათვის მადლობა გადაუხადა, გმირობისათვის ასეულის მეთაურს მყაშვილს წმინდა ანნას მე-4 ხარისხის ორდერი უბოძეს წარწერით-მამაცობისათვის ხოლო შემდგომ იგი რუმინეთის მეფემ დააჯილდოვა „რუმინეთის ვარსკვლავის ორდენით“. ასეთი ჯილდო კავკასიის არმიაში ერთადერთი იყო.

გურულ მოლაშქრეთა გმირობაზე მალე საზღვარგარეთის პრესაც აღაპარაკდა.. 1877-78 წლების „რუს-ოსმალის“ ომში მათი ბადალი მხელად მოიძებნებოდა.

სამწუხაროა რომ ხუცუბნის ბრძოლაში გმირულად დაცემულ 16 ლიხაურელი მებრძოლის საარაკო გმირობა და მათი

ღვაწლი ოსმალთა გურულთა-სადმი ოსმალთა მფლობელობისაგან გამოსხნის საქმეში დღეს საოცრად მინავლებულია და თითქმის მთლიანად დაიწყებული, რასაც ისტორია ნამდვილად არ გვაპატიებს და არ შეგვიწინდებს. მათი გმირობა არანაკლებია და შეუდარებელი, ისევე როგორც საარაკო ძალისხმევა 300 არაგველის, 9 მამა ხერხეულიძის და მანაბელისა,, და ვინ იცის იქნებ მოვიდა კიდევ დრო მათ უკვდავსაყოფად ოზურგეთიდან აჭარა-ქობულეთისაკენ მიმავალ გზაზე, რომელსაც იქვე სოფელ ლიხაურისაკენ მიმავალი შედარებით მომცრო გზა-საკილიც გამოეყოფა, აველდართა ქვაში ამღერებული ძეგლი მათი გმირობისა და მამაცობის უკვდავსაყოფად.

ოზურგეთში ქართველი ხალხის ჯალათისა და სისხლისმსმელი ობოლადის ძეგლიც კი იყო აღმართული და მისავე სახელობის ქუჩაც კი არსებობდა. 16 გმირი ლიხაურელი, ოსმალთა მრუდე იატაკანით აჩეხილი, გულგანგმირული სამშობლო ქვეყნის უკეთესი მერმისისათვის ბრძოლაში, არც მაშინ გახსენია ვინმეს, როცა ობოლადის კუარცხლბეგს ამზადებდნენ, როცა მის ძეგლს აქანდაკებდნენ, როცა მისი სახელობის ქუჩას აარსებდნენ და სამწუხაროდ არც ახლა, როდესაც „დამოუკიდებელ საქართველოში“ ასეთი გმირები მართლაც რომ სანთლით საძიებელნი არიან.

ენვერ გოგუაძე

სამგლოვიარო განცხადებები

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია იუწყება ზემო ნატანების საჯარო სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგის **მარლენ გოგოტიშვილის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია თანაგრძნობს ვაკეჯვრის საჯარო სკოლის პედაგოგს, პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარეს, ბელა ახალაძეს, მამის, **ოთარ ახალაძის** გარდაცვალების გამო

დიდი პრემიერა მცირე სცენაზე

ზამთრის სუსხი რას დაგვაკლვს, „როცა ღარაბებს მიღმა გაზავს ულია“

თემურ მარშანიშვილი



ზუსტად ვერ გეტყვი, რამდენი წლისაა ლამაზი თაბუკაშვილის „ღარაბებს მიღმა გაზავს ულია“, მაგრამ იმის თქმა თამამად შეიძლება, რომ დღიდან მისი გამოქვეყნებისა და გაცნობისა, თანამედროვე ქართული დრამატურების კაბადონზე ასეთი ძალიან დიდი პიესა არ გატაცებულა.

„ღარაბებს მიღმა გაზავს ულია“, მისი რეჟისორი პერსონაჟი რეჟისორებს, მსახიობებს, თეატრმცოდნეებს, მკვლევარებს ისე უყვართ, როგორც ადრე უყვარდათ, — ძალიან, ძალიან ძალუძად და, თუ შეიძლება ითქვას, ძალიან უფრო ძალუძად.

ამიტომ, ამ პიესის მიხედვით, ახალ დადგმაში ხელოვანის მხრიდან უნებელი იტისიფიკაცია ჩაგანასაც კი ვერ აიტანს მკვლევარი, ვერაფერს ატყობს ამ უსამელოდ პარმონულ სივრცეში თუნდაც უმნიშვნელო დისონანსის შეტანას.

აქედან გამომდინარე, მართლა ახირებული და უსამელოდ ამბიციური უნდა იყო, რომ ადვილად შეუბღვი ამ პიესას. ახირებისა რა ვითხრათ, მაგრამ ამბიციურობა, როგორც ჩანს, არც ჩვენი თეატრის სამსახურის ხელმძღვანელს, რეჟისორს ვასო ჩიგოგიძეს და არც მის თანამაზრებებს

აკლიათ, რომლებიც, თეატრის შინაგან მიმდინარე სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ფონზე, მანცა და მინც ამ პიესას ჩაატარებდნენ და 7 დეკემბერს, სახელმწიფო მოწოდებით ე.წ. „მცირე სცენაზე“ 149-ე თეატრალური სეზონის მეექვსე პრემიერა გამართეს.

თეთრი ყვავილებით მოჩითული სცენა იმდენად ახლის იყო ღარაბთან, რომ როლებში შეჭრილი მსახიობები ლამის წამოწმებულნი იყვნენ პირველი რიგის მაყურებელს, რომელსაც, მიუხედავად ამ „ერთგვარი დისკომფორტისა“, სპექტაკლის მსვლელობის დროს, ერთხელაც არ ამოუსვამს თვალი ხელი.

წარმოდგენა, პერსონაჟი მოხდენილი მოძრაობით, იმდენად დინამიური ღარა, უკან რიგებისკენ ერთხელაც ვერ მოვიხედვით, ფოტოგრაფიული მკვლევარი რომ დამეფიქსირებინა, რომელიც დროდადრო ახლოდინებით უხვად ასაჩუქრებდა მსახიობებს. მხოლოდ ერთხელ გავინძერი და გვერდით მგდომ კოლეგას, ლია კოლაძეს გადავხედე ღვეთ საღინაძეზე — მაგარი ბიჭა-მეთქი. როგორ შემდეგ გაგვგებ, ღარაბი არ ყოფილა სავსე და დიდი ალბათობით

თობით ამის მიზეზი უამინდობა იყო, მაგრამ ვინც პრემიერას დაესწრო, შემსრულებლებით იმდენად ნასიამოვნები ღარა, რომ მას ზამთრის სუსხი თეატრის შინაგან ღარაში გამოსვლის შემდეგაც არ უგრძობია.

სპექტაკლში ელენეს პერსონაჟს უდავოდ ახალი შტრიხები შემატა ბელა კიკვაძემ, ტიპური კაპასი ქალი იყო შორენა გვეტაძის ღარა, თავისი შვილის გასაჭირში ციხე მოვლენილის შთაბეჭდილება დატოვა ან გოგონაშვილის დედა, ბედის სრულყოფილი სახე შექმნა გენადი ნიკოლიაშვილმა, როგორც ყველა სპექტაკლში, აქაც ბოლომდე გაიხარა ემოციური გიორგი დოლიძე და გელას დასამასოვრებული ტიპაჟი შექმნა; ალექსანდრე ლომიძის კირილე კი, იმდენად მოწონებულა, რომ, ალბათ, სპექტაკლის დამთავრების შემდეგაც იოცნებებს „სანავერო“ ქალებზე.

ცალკე უნდა შევხედო ასალგაზრდა მსახიობებზე — მარი ხანთაძესა და ლევან საღინაძეზე, რომელთა ნიჭიერებაში ეჭვი არასდროს შემატებია. რა თქმა უნდა, მარი და ლევანი მომავალში მრავალ საინტერესო სახეს შექმნიან, უამრავი მოიგებენ მაყურებლის გულს და რეცენზენტების ზოტასაც დაიმსახურებენ, მაგრამ ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მათ შემოქმედებაში ნინიკო და კოკა მხეიძე საბუდამოდ განსაკუთრებულ პერსონაჟებად დარჩებიან.

და ბოლოს ცნობისათვის კი არა, ისტორიისათვის:

სარეცენზიო სპექტაკლის დადგმა თეატრის სამსახური ხელმძღვანელმა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, რეჟისორმა ვასო ჩიგოგიძემ განახორციელა; მსატყვარი მარჯანიშვილის პრემიის ლაურეატი ლომიძე მურუსიძე გახლავთ; მუსიკალური გაფორმება ვოგა მახარაძის ეკუთვნის; ნაქები სასცენო მოძრაობა — მარიკა ქვიციანი; რეჟისორის ასისტენტობა მკაცრად მამულიაშვილი; თეატრის დირექტორი — ზაზა ჯინჭარაძე.

ფართო მდიდარი და შანრობრივად უხვი საუბრობო გამოფენის ექო

თემურ მარშანიშვილი



მერაბ ბერძენიშვილის სახელობის ქალაქ ოზურგეთის თანამედროვე სახეობის ხელოვნების ცენტრში გურიის მსატყვართა შემოქმედებითი კავშირის სახეობის ხელოვნების წლებიდან დასრულებული საშემოღობო გამოფენა ერთ-ერთი შთამბეჭდავი ღონისძიება იყო სახალხო დღესასწაულ „ოზურგეთობა-ალგრობისა“, რომელიც 23 ნოემბერს შედგა.

გალერეაში ოზურგეთელი და ჩოხატაურელი 33 ავტორის 114 ნამუშევარი გამოიფინა. ობიექტური მიზ-

ნების გამო, წლებიდან დასრულებული საშემოღობო გამოფენაში მონაწილეობა ვერ მიიღეს ლანჩხუთელმა მსატყვრებმა. გამოფენაზე სარეკორდო რაოდენობით მოსულ ადგილობრივ და სტუმარ მაყურებელს საშუალება ჰქონდა ეხილა ჩვენი მსატყვრების გრაფიკული, ფერწერული, ჭედური ნამუშევრები, ხალხური რეწვის ნიმუშები.

მერაბ ბერძენიშვილის სახელობის ქალაქ ოზურგეთის თანამედროვე სახეობის ხელოვნების ცენტრი და გურიის მსატყვართა შემოქმედებითი კავშირი ყოველწლიურად ატარებს გურიაში მოღვაწე, ამ შემოქმედებითი კავშირის წევრი მსატყვრების რეგიონულ გამოფენას, რომელიც ამ სფეროში ყველაზე მასშტაბურ ღონისძიებას წარმოადგენს.

მერაბ ბერძენიშვილის სახელობის ქალაქ ოზურგეთის თანამედროვე სახეობის ხელოვნების ცენტრის საგამოფენო დარბაზს ერთი დღითაც ვერ ნახეთ თავისუფალს. 23 ნოემბერს აქ გახსნილ გურიის მსატყვართა საშემოღობო გამოფენას 5 დღეობის აჭარის მსატყვართა კავშირის წარმომადგენელთა გამოფენა ჩაენაცვლა. მიუხედავად უამინდობისა, გამოფენაზე მაყურებელი საკმაო რაოდენობით მოვიდა, ოზურგეთულ სახეობის ხელოვნების მოყვარულებს საშუალება მიეცათ, ენახათ 50-ზე მეტი ნამუშევარი, პირადად გაცნობოდნენ და გასაუბრობოდნენ 20-ზე მეტ ბათუმელ მსატყვარს. ეს გამოფენა მთელ საქართველოში მოგზაურობის და ჩვენს ხელოვნებაში ოზურგეთის სამსატყვრო გალერეის საგამოფენო სფეროში.

როგორც ხელოვნებათმცოდნე ლია ურუშაძე ვითხრა, ბათუმის დღეობის გაგრძელება — მიხელო (მერაბ) კვაჭაძის პერსონალური გამოფენა საკმაოდ რეზონანსულია და მას დეკემბრის ბოლომდე დეთობა ოზურგეთის სამსატყვრო გალერეის საგამოფენო სფეროში.

ავტომობილები განვადებით



„იმპორტი-2“ ბითაგაზობთ ავტომობილების და სხვა სატრანსპორტო საშუალებების ტრანსპორტირებას ავტო, ვეროპის და იაპონური (მარცხენა საჭმ) სადილორო კომპანიებიდან და აუტომობილებიდან. ასევე ავტო განვადებას: პირველი შმსატანი ღირებულების 40%, დარჩენილი თანხა გაღანაწილდება მამსიგუშ 36 თგვში. ასევე მომხმადებს შიდა 0% განვადება. უკრამტენდენტოდ დაბალი ტარიფები მომსახურებაზე და ტრანსპორტირებაზე. უფასო კონსულტაცია.

ტელ. 595 11 10 30, ზურა, მისამართი: 26 მაისის ქ. № 11ა.



ბათუმის დღეობი ოზურგეთის სამსატყვრო გალერეაში

თემურ მარშანიშვილი



მერაბ ბერძენიშვილის სახელობის ქალაქ ოზურგეთის თანამედროვე სახეობის ხელოვნების ცენტრის საგამოფენო დარბაზს ერთი დღითაც ვერ ნახეთ თავისუფალს. 23 ნოემბერს აქ გახსნილ გურიის მსატყვართა საშემოღობო გამოფენას 5 დღეობის აჭარის მსატყვართა კავშირის წარმომადგენელთა გამოფენა ჩაენაცვლა. მიუხედავად უამინდობისა, გამოფენაზე მაყურებელი საკმაო რაოდენობით მოვიდა, ოზურგეთულ სახეობის ხელოვნების მოყვარულებს საშუალება მიეცათ, ენახათ 50-ზე მეტი ნამუშევარი, პირადად გაცნობოდნენ და გასაუბრობოდნენ 20-ზე მეტ ბათუმელ მსატყვარს. ეს გამოფენა მთელ საქართველოში მოგზაურობის და ჩვენს ხელოვნებაში ოზურგეთის სამსატყვრო გალერეის საგამოფენო სფეროში.

როგორც ხელოვნებათმცოდნე ლია ურუშაძე ვითხრა, ბათუმის დღეობის გაგრძელება — მიხელო (მერაბ) კვაჭაძის პერსონალური გამოფენა საკმაოდ რეზონანსულია და მას დეკემბრის ბოლომდე დეთობა ოზურგეთის სამსატყვრო გალერეის საგამოფენო სფეროში.

მერაბ ბერძენიშვილის სახელობის ქალაქ ოზურგეთის თანამედროვე სახეობის ხელოვნების ცენტრის საგამოფენო დარბაზს ერთი დღითაც ვერ ნახეთ თავისუფალს. 23 ნოემბერს აქ გახსნილ გურიის მსატყვართა საშემოღობო გამოფენას 5 დღეობის აჭარის მსატყვართა კავშირის წარმომადგენელთა გამოფენა ჩაენაცვლა. მიუხედავად უამინდობისა, გამოფენაზე მაყურებელი საკმაო რაოდენობით მოვიდა, ოზურგეთულ სახეობის ხელოვნების მოყვარულებს საშუალება მიეცათ, ენახათ 50-ზე მეტი ნამუშევარი, პირადად გაცნობოდნენ და გასაუბრობოდნენ 20-ზე მეტ ბათუმელ მსატყვარს. ეს გამოფენა მთელ საქართველოში მოგზაურობის და ჩვენს ხელოვნებაში ოზურგეთის სამსატყვრო გალერეის საგამოფენო სფეროში.

როგორც ხელოვნებათმცოდნე ლია ურუშაძე ვითხრა, ბათუმის დღეობის გაგრძელება — მიხელო (მერაბ) კვაჭაძის პერსონალური გამოფენა საკმაოდ რეზონანსულია და მას დეკემბრის ბოლომდე დეთობა ოზურგეთის სამსატყვრო გალერეის საგამოფენო სფეროში.



ღრუბალო +4+9	წვიმა, 0+8	წვიმა თოვლი -4+2	თოვლი -3+3	წვიმა თოვლი -4-1	თოვლი -3+1	მზე, -2+5
12 დეკემბერი ორშაბათი	13 დეკემბერი სამშაბათი	14 დეკემბერი ოთხშაბათი	15 დეკემბერი ხუთშაბათი	16 დეკემბერი პარასკევი	17 დეკემბერი შაბათი	18 დეკემბერი კვირა

7 დღის ამინდის პროგნოზი